



კახეთისა და ქვემო ქართლის ეთნობოტანიკა

რაინერ ვ. ბუსმანი*, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა,
შალვა სიხარულიძე, ზაალ კიკვიძე, დავით ქიქოძე,
დავით ჭელიძე, ქეთევან ბაცაცაშვილი, რობი ე.
ჰარტი

Repatriation - Research

თავდაპირველად გამოქვეყნდა (Bussmann, R.W., Paniagua Zambrana, N.Y., Sikharulidze, S., Kikvidze, Z., Kikodze, D., Tchelidze, D., Khutsishvili, M., Batsatsashvili, K., Hart, R.E. (2020). An ethnobotany of Kakheti and Kvemo Kartli, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Ethnobotany Research and Applications* 19(35) doi: 10.32859/era.19.47.1-28)

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოს ისტორიული პროვინციები, კახეთი და ქვემო ქართლი დიდი კავკასიონის სამხრეთი მაკრო-ფერდობებსა (კახეთი) და მცირე კავკასიონის აღმოსავლეთში (ქვემო ქართლი). ჩვენი შრომა სწავლობდა მცენარეთა ტრადიციულ გამოყენებას კახეთსა და ქვემო ქართლში.

მეთოდები: სავსე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის აგვისტო-ნოემბერში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოიკითხა 40 რესპონდენტი (26 ქალი და 14 კაცი), მათგან წინასწარი სიტყვიერი თანხმობის მიღების შემდეგ.

შედეგები: კვლევის რეგიონში აღრიცხული იქნა 215 მცენარის სახეობა, რომლებიც 157 გვარსა და 114 ოჯახს ეკუთვნოდა, ასევე 3 სოკოს სახეობა და სულ ცოტა 5 გვარის სოკო, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა. ამათგან, 114 სახეობა ველურად გროვდებოდა, 88 ბალ-ბოსტნებში მოყავდათ, ხოლო 18 გროვდებოდა როგორც ველურ ბუნებაში, ისე ბალ-ბოსტნებში. გამოყენებული მცენარეების სახეობები რეგიონის შიგნით უმთავრესად თანხვედრილი იყო, ოდნავ მეტი იყო სხვაობები მცენარეთა გამოყენებაში.

გარემოზე მორგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ცვალებადობის დიდი ნაწილი აიხსნება მონაწილეთა სოფლების მდებარეობით. ზღვის დონიდან სიმაღლე მნიშვნელოვნად ხსნიდა მცენარეთა სახეობების ორდინაციას, მაგრამ ვერ ხსნიდა სხვაობებს ამ მცენარეთა გამოყენებაში. მონაწილეთა სქესს არ ქონდა მნიშვნელობა მცენარეთა ორდინაციისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო გამოყენების ორდინაციისთვის.

Correspondence

რაინერ ვ. ბუსმანი^{1*}, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა^{1,2}, შალვა სიხარულიძე¹, ზაალ კიკვიძე³, დავით ქიქოძე¹, დავით ჭელიძე¹, ქეთევან ბაცაცაშვილი¹, რობი ე. ჰარტი⁴

¹ბოტანიკის ინსტიტუტი და ბაკურიანის ალპიური ბოტანიკური ბაღი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბოტანიკური ქუჩა 1, 0105 თბილისი

²Herbario Nacional de Bolivia, Instituto de Ecología - UMSA, Campus Universitario, Cota Cota Calle 27, La Paz, Bolivia

³ეთნობოტანიკის და სოციო-ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი

⁴William L Brown Center, Missouri Botanical Garden, PO Box 299, St. Louis, Missouri 63166-0299, USA

*საკონტაქტო ავტორი, ელ.ფოსტა:
rainer.bussmann@iliauni.edu.ge

Ethnobotany Research & Applications
20:51 (2020)

დასკვნები: ტყის მცენარეების ნაკლებად გამოყენების მიზეზი კახეთსა და ქვემო ქართლში უკავშირდება ფაქტს, რომ ორივე ეს

რეგიონი ახლოა დიდ ბაზრებთან, რაც ამცირებს ბევრი მცენარის შეგროვების ან მოყვანის აუცილებლობას. გარდა ამისა, კახეთი საქართველოს ყველაზე ნაყოფიერი რეგიონია, ძალიან მოკლე ხანით და ესეც ამცირებს, მაგალითად, ფხლისთვის მცენარეების შეგროვების აუცილებლობას. ამის მაგალითია ლაგოდეხი, თითქმის სუბტროპიკული ჰავით, სადაც ჩვენმა კვლევამ ვერ აღრიცხა ტყის მცენარეებს საკვებად გამოყენების შემთხვევები.

გასაღები სიტყვები: კავკასია, ეთნობოტანიკა, მცენარეთა გამოყენება, ტრადიციული ცოდნა, პოსტ-საბჭოთა განვითარება

შესავალი

საქართველო გამოირჩევა კულტურული და მათი
მონათესავე ველურ მცენარეთა დიდი
სახეობრივი მრავალფეროვნებით, ხოლო

მცენარეების გამოყენება სამკურნალო მიზნებით მეტად გავრცელებულია (Ahalkatsi et al. 2018a,b), რასაც ათასწლეულობით ისტორია აქვს (McGovern et al. 2018). მცენარეებს იყენებენ მრავალგვარი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები (Kordzakhia and Javakhishvili 1971, Söderlind 2015). ჩვენი კვლევა ჩატარდა კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში (ნახ. 1). ამ რეგიონების მცენარეულობა მოიცავს მთის ტყეებს, სუბალპურ, ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ ზონებს და ხასიათდება მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლიანობის აღმოსავლეთ კავკასიური, ანუ იბერიული ტიპით (Gagnidze and Davitadze 2000; Zazanashvili et al. 1999). მოსახლეობის უმრავლესობა მეტყველებს ქართულად, თუმცა მცირე ჯგუფები ლაპარაკობს აზერბაიჯანულად, ლეკურად, ოსურად, უდიურად, ჩაჩნურად (Beridze et al. 2003).



ნახ. 1. კვლევის რეგიონი

კახეთი

ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა 1991 წელს სსრკ-სგან დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ და მოიცავს საკუთრივ კახეთის ისტორიულ პროვინციასა და თუშეთის მდალმთიან რეგიონს. ჩვენი შრომა საკუთრივ კახეთს ეხება. ამ კუთხეს ძლიერი ენობრივი და კულტურული იდენტობა ახასიათებს როგორც კახურ ეთნოგრაფიულ ქვეჯგუფს, რომელიც ქართული ენის კახურ დიალექტზე საუბრობს.

ტრადიციულად, კახეთი ოთხ ნაწილად იყოფა: შიდა კახეთი, ცივ-გომორის ქედის აღმოსავლეთით ალაზანის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ; გარე კახეთი იორის შუა წელში, ქიზიყი ალაზანსა და იორს შორის და გაღმა მხარი, ალაზნის მარცხენა მხარეს.

კახეთ-ჰერეთის სამეფო შუა საუკუნეებში წარმოიშვა, დედაქალაქით თელავში, 1014 წელს და მისი პირველი მეფე იყო კვირიკე დიდი (კვირიკე III). XII საუკუნის დასაწყისში ეს სამეფო დავით აღმაშენებელმა სამუდამოდ შემოუერთა საქართველოს. 1460-იანი წლებიდან, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ კახეთი ისევ დამოუკიდებელი სამეფო გახდა. XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე კახეთი და ქართლი დროდადრო ირანის მმართველობს ქვეშ ხვდებოდა. 1762 წ. მეფე ერეკლე II-ემ კახეთი და ქართლი ერთ სამეფოდ გააერთიანა. გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერისა და აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ, ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა (1801 წ.). კახეთშია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მონასტრები, როგორიცაა ბოდბე (ნახ. 2), და ასევე მეღვინეობის ძველი ცენტრები (ნახ. 3).

ქვემო ქართლი

ისტორიული და ადმინისტრაციული მხარეა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში, რომელიც ერთ დროს კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ადამიანები ქვემო ქართლში მილიონობით წლის წინ მოვიდნენ — კერძოდ, დმანისი (ნახ. 4) ცნობილია Homo georgicus-ის ნამარხებით, რომელთა ასაკი 1.6-დან 1.8-მდე მილიონი წელია და მას შემდეგ ადამიანები ამ ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდნენ.

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკურად დაწინაურებული რეგიონია, წარმოებით მეორეა თბილისის შემდეგ. გარდა ქართველებისა, ქვემო ქართლში ცხოვრობს

ბევრი აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა, ხოლო ადრეული XIX საუკუნიდან აქ სახლობდნენ კავკასიელი შვაბები (გერმანული წარმოშობის ხალხი), რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს აქაურ სოფლის მეურნეობაზე. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 2629 რადიკალი პიეტისტი შვაბი მოიწვია აქ დასასახლებლად და 1818 წელს რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით დაახ. 500-მა დიდმა შვაბურმა ოჯახმა რვა კოლონია დაარსა თბილისი გარშემო. მათს დიალექტზე ამ კოლონიებს “Schwabendörfer”-ს, ანუ შვაბთა სოფლებს უწოდებდნენ. მათგან უდიდესი იყო კატარინენფელდი, სადაც ჯერ 95, შემდეგ კი 116 ოჯახი სახლობდა. ეს სახელი ალბათ ვურტემბერგის დედოფლის კატარინას საპატივცემულოდ ეწოდა, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე I-ის და იყო. დანარჩენი სოფლები იყო მარიენფელდი, ელიზაბეტთალი, ალექსანდერსდორფი და პეტერსდორფი, რომლებიც ცნობილი იყვნენ სწორი, მოკირწყლული ქუჩებით. 1918 წ. საქართველოში კავკასიელი შვაბების მიერ დაფუძნებული 20 სოფელი იყო. საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელახალი ოკუპაციის შემდეგ 1921 წელს კატარინენფელდს ეწოდა ლუქსემბურგი, ხოლო 1944 წელს ბოლნისი. მარიენფელდს ეწოდა სართიჭალა, ელიზაბეტთალს ასურეთი და ჰელენენდორფი იქცა ხანლარად. 1941 წ. საქართველოში 24,000 გერმანელი კოლონისტი სახლობდა. ამავე წელს სტალინმა ყველა, ვისაც ადგილობრივებთან არ ჰქონდა ოჯახი შექმნილი, ყაზახეთსა და ციმბირში გადაასახლა. გერმანელთა სახლები ამიერკავკასიის სხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებულებმა დაიკავეს. ომის შემდეგ ძალიან ცოტა გერმანელი დაბრუნდა საქართველოში. 2002 წელს დაახ. 30 გერმანული წარმოშობის ასაკოვანი ქალი ცხოვრობდა ბოლნისში. ამ შრომაში ჩვენ აღვწერთ მცენარეების ტრადიციულ გამოყენებას კახეთსა და ქვემო ქართლში. ჩვენი ჰიპოთეზა შემდეგი იყო: (1) რომ მცენარეების ცოდნა ამ რეგიონის სოფლებში ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, (2) რომ მცენარეთა გამოყენება ეფუძნება ბალ-ბოსტნებს, (3) რომ საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით შეზღუდულია ბალახოვანი მცენარეების ფხლად გამოყენება და (4) რომ ამ რეგიონის ტრადიციულ ცოდნაში შვაბების კვალი პრაქტიკულად ნაშლილია.



ნახ. 2. ბოდბის მონასტერი, კახეთი



ნახ. 3. ხოხობის ცრემლების ვენახები, კახეთი, დიდი კავკასიონის ფონზე



ნახ. 4. დმანისის ლანდშაფტი, ქვემო ქართლი, გადაღებული *Homo georgicus*-ის არქეოლოგიური ძეგლიდან.

მასალა და მეთოდები

ეთნობოტანიკური გამოკითხვა

საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის ივლისსა და აგვისტო-ნოემბერში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოკითხა 40 მონაწილე (26 ქალი და 14 კაცი), წინასწარი სიტყვიერი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ (ნახ. 5).

მონაწილეები შეირჩეოდა ჯაჭვური მეთოდით და ვცდილობდით დაგვეცვა ბალანსი ასაკობრივ ჯგუფებსა (37-85 წ.) და სქესს შორის. მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობა მაინც 45 წელზე უხნესი იყო, რადგან საქართველოს მივარდნილ სოფლებში ძალიან ცოტაა ახალგაზრდები. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილის სახლსა და ბოსტანში, ქართულად და ადგილობრივ დიალექტებზე. ბალ-ბოსტნის მცენარეები გამოიყენებოდა საუბრის დასაწყისად, ველური მცენარეების სახელები კი თავისუფალი ჩანერით აღირიცხებოდა. ტყის (ანუ ველური) და ბალ-ბოსტნის (ანუ შინ მოყვანილი) მცენარეები ირკვეოდა ადგილობრივ, არსებული ლიტერატურის მიხედვით (საქართველოს ფლორა 1971-2011; მაყაშვილი 1952-1953), ნიმუშები გროვდებოდა და ინახება საქართველოს ეროვნულ ჰერბარიუმში (TBI). ყველა სახეობის

ნომენკლატურა მისდევს Tropicos (Angiosperm Phylogeny Group 2009, <http://www.tropicos.org>). სოკოების ნომენკლატურა მისდევს MycoBank-ს (<http://www.mycobank.org>). მცენარეთა ქართული დასახელებების სტანდარტად ვიყენებდით მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონს (1991).

სტატისტიკური ანალიზი

მონაწილეთა დამოწმებას ვითვლიდით არამეტრული მრავალგანზომილებიანი მასშტაბირებით ორდინაციის ორ, მცენარეებისა და მათი გამოყენების, მატრიცებში. პირველ მატრიცაში სვეტები წარმოადგენენ მცენარეებს, მეორეში კი ამ მცენარეების გამოყენების კატეგორიებს. მიღებულ ორდინაცია ერთმანეთთან ახლოს განლაგებს იმ მონაწილეებს, რომლებიც ერთსა და იმავე მცენარეებს და მათი გამოყენების მსგავს კატეგორიებს ასახელებენ. შემდეგ, ორდინაციის ამ სივრცეებს მოვარგებდით სხვადასხვა გარემო ვექტორებს (სოფლის სახელი, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან) და ფაქტორებს (სქესი, ასაკობრივი ჯგუფი), რომ გვენახა, რომელი ვექტორი ან ფაქტორი ახსნის კარგად მონაწილეთა განლაგებას ორდინაციულ სივრცეებში. დამოწმებებს ვითვლიდით ბრეი-კურტისის ინდექსით, ხოლო მორგების მნიშვნელოვნებას ვითვლიდით რანდომიზაციის (999-ჯერ)

ტესტით. ანალიზისთვის ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს (Okasanen *et al.* 2018).

მონაწილეთა კონსენსუსი (IFC) მოცემული გამოყენების კატეგორიისთვის (UC) გამოითვლებოდა როგორც გამოყენების ჩანაწერების რაოდენობას (UR) (ერთი მცენარის გარკვეული მიზნით გამოყენება) გამოკლებული ტაქსონთა რაოდენობა (t) და გაყოფილი გამოყენების ჩანაწერთა რაოდენობას გამოკლებულ 1-ზე

$$(N_{UR} - N_t) / (N_{UR} - 1)$$

სახეობები რანჟირდებოდა სამი ინდექსის მიხედვით: (i) კულტურული მნიშვნელოვნება (CI): მონაწილეთა რიცხვი, რომლების მოცემული სახეობას ახსენებდა გამოყენების მოცემულ კატეგორიაში, გაყოფილი მონაწილეთა რიცხვზე, რომლებიც ამ სახეობას ახსენებდნენ. შემდეგია გამოყენების მრავალფეროვნება (UD), ესაა შანონის ინდექსი გამოთვლილი გამოყენების კატეგორიებისთვის. ამ გამოთვლებისთვისაც ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს (Okasanene *et al.* 20180. ვითვლიდით ასევე გამოყენების სიდიდეს (UV): ესაა მოცემული სახეობის ჩანაწერთა ჯამი გაყოფილი გამოკითხულ მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე რეგიონში (Philips and Gentry 1993).

შედეგები

წარმოდგენილ შრომაში აღვწესებთ 215 სახეობის მცენარე, რომლებიც ეკუთვნის 153 გვარსა და 114 ოჯახს, ასევე 3 სოკოს სახეობა და, სულ ცოტა 5 გვარის სოკო, რომელთა გარკვევა სახეობამდე ვერ მოხერხდა. ამათგან, 114 სახეობა მხოლოდ ტყიდან მოჰქონდათ, 88 ბაღ-ბოსტანში მოყავდათ, ხოლო 18 ბაღ-ბოსტანშიც ჰქონდათ და ტყეშიც აგროვდნენ (ცხრილი 1). ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენების კატეგორიები იყო საკვები და სამკურნალო მცენარეები. მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფების შემადგენლობა მოცემულია ცხრილ 2-ში.

მონაწილეები მცირედ დიფერენცირდებოდა ჩანერგილი მცენარეული სახეობების მიხედვით

და ასაკი არ განსაზღვრავდა განსხვავებებს მცენარეების ცოდნაში (ნახ. 6 A,B). მაგრამ, მკაფიოდ გამოიხატა ზოგიერთი სხვაობა მცენარეთა გამოყენებაში (ნახ. 6 D,E). მონაწილეთა სოფლის მდებარეობა მნიშვნელოვნად ხსნიდა ორდინაციას, როგორც მცენარეთა სახეობებისა (C, $r^2 = 0.261$) ისე მათი გამოყენებისა (E, $r^2 = 0.373$) (ნახ. 6 C,F). საერთო ჯამში, სიმაღლე ზღვის დონიდან და სოფლის მდებარეობა აღმოჩნდა მთავარი გამყოფი ცვლადები მცენარეთა სახეობებისა და მათი გამოყენების ორდინაციულ სივრცეებში, თანაც მდებარეობა, როგორც ფაქტორი, ხსნიდა ცვალებადობის უდიდეს ნილს როგორც მცენარეების სახეობებში ($r^2 = 0.6763$, $P = 0.001$; ცხრილი 3) ისე მათ გამოყენებაში ($r^2 = 0.6628$, $P = 0.001$; ცხრილი 4), თუმცა გამოყენების შემთხვევაში მონაწილეთა ასაკსა და სქესსაც აღმოაჩნდა მნიშვნელობა ისე, რომ ქალებს და ასაკოვნებს მცენარეების გამოყენების მეტი ცოდნა ქონდათ.

კვლევის რეგიონში აღირიცხა ბევრად ნაკლები მცენარე და მათი გამოყენების მრავალგვარობა, ვიდრე საქართველოს სხვა პროვინციებში: თუკი კახეთსა და ქვემო ქართლში მონაწილემ საშუალოდ იცოდა 41,1 მცენარის სახეობა და ასახელებდა საშუალოდ 42.2 გამოყენების კატეგორიას, საქართველოს სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებლები იყო 58,1 და 62.7 (ნახ. 7 და 8). მცენარეების ცოდნის სიმცირე გამოკვეთილი იყო უფრო ტყის და ნაკლებად ბაღ-ბოსტნის მცენარეების შემთხვევაში (ნახ. 9). მაგრამ, გამოყენების კატეგორიების ნაკლები ცოდნა მნიშვნელოვანი იყო როგორც ტყის, ისე ბაღ-ბოსტნის მცენარეების შემთხვევაში (ნახ. 10).

სახეობების უმრავლესობა და მათი გამოყენება ფართოდ იყო გავრცელებული მთელს რეგიონში. მთლიანობაში მონაწილეებმა აჩვენეს მაღალი კონსენსუსი (IC). საგარეუო და ლაგოდეხი გამოირჩნენ ძალიან დაბალი CI-თი (ცხრილი 5). უჩვეულო იყო მცენარეების გამოყენება ფხალის დასამზადებლად ამ რეგიონში. ქვემო ქართლში, სადაც ბევრი ნაგებობა შვებილების მიერაა დატოვებული, რაიმე კვალი მცენარეების დასახელებაში ან მათს გამოყენებაში ამ ხალხის ცოდნის კვალს ვერ მივაგენით.



ნახ. 5. გამოკითხვა, კახეთი, საქართველო. მიაქციეთ ყურადღება მცენარეების ნიმუშებს წინა პლანზე

ცხრილი 1. კახეთსა და ქვემო ქართლში გამოყენებული მცენარეები

ოჯახი	ლათინური	ქართული	ადგილობრივი	გამოყენება	გამოყენ. ნაწილი	საიდან
Actinidiaceae	<i>Actinidia callosa</i> Lindl.	კივი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Adoxaceae	<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი	ანწილი	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი	ტყე
Adoxaceae	<i>Sambucus nigra</i> L.	ანწლი	ანწილი	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი	ტყე
Adoxaceae	<i>Viburnum opulus</i> L.	ძახველი	წორო	სამკურნალო, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ტყე
Agaricaceae	<i>Agaricus arvensis</i> Schaeff.	ქამა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Amaranthaceae	<i>Amaranthus paniculatus</i> L.	წითელი ჭიჭლაყა	თათრულა ფხალი	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Amaranthaceae	<i>Amaranthus retroflexus</i> L.	ჩვეულებრივი ჭიჭლაყა	ხალე (ლეკურად); წონწარა; თეთრი მხალი; თვითმავალა; მხალი-ბალახი; წრიანტელი	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Amaranthaceae	<i>Amaranthus speciosus</i> L.	ჭიჭლაყა-ყვავილი	ლერტაგიჭი (ოსურად)	საკვები	ფოთოლი, ფესვი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი (ch'arkhali)		საკვები	ფესვი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>cicla</i> (L.) Moq.	მანგოლდი (mangoldi)		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Chenopodium album</i> L.	ნაცარქათამა	ფუტყ (ოსურად); მხალი	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Amaranthaceae	<i>Chenopodium bonus-henricus</i> L.	ნაცარქათამა		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Chenopodium foliosum</i> (Moench) Asch.	ნაცარქათამა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Amaranthaceae	<i>Spinaca oleracea</i> L.	ისპანახი		საკვები	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium cepa</i> L.	ხახვი		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ძირხვეწა	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium sativum</i> L.	ნიორი		საკვები, ნაკეთობები	ფოთოლი, ძირხვეწა, ღერო	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium ursinum</i> L.	მთის ღანძილი	ღანძილი; სობო	საკვები	ფოთოლი	ტყე
Apiaceae	<i>Anethum graveolens</i> L.	კამა	ცერეცო, დიდი კამა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო, თესლი	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Anthriscus sylvestris</i> L.	ჭყიმი	ლიმის დედა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Apiaceae	<i>Apium graveolens</i> L.	ნიახური		საკვები	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Chaerophyllum aureum</i> L.	ყინტორა	ხოზო	საკვები	კვირტი	ტყე
Apiaceae	<i>Chaerophyllum bulbosum</i> L.	ლიმი	ატოლი	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Apiaceae	<i>Chaerophyllum caucasicum</i> (Fisch.) B. Schischk	ლიმი	ატოლი	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Apiaceae	<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი		საკვები	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.

Apiaceae	<i>Daucus carota</i> L. ssp. sativus	სტაფილო		საკვები	ფესვი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ., ტყე
Apiaceae	<i>Falcaria vulgaris</i> Bernh.	კოფრჩხილა	ბატიფეხა	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Apiaceae	<i>Heracleum sosnowskyi</i> Manden	დიყი	ხევსურის დიყი; დიყინა	საკვები	ღერო, თესლი	ტყე
Apiaceae	<i>Heracleum</i> sp.	დიყი		საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Apiaceae	<i>Hyppomarathum crispum</i> (Pers.) Boiss.	ქარქვეტა	ბურბურა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Apiaceae	<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss	ოხრახუმი	მალდანობი	საკვები	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Apocynaceae	<i>Vinca major</i> L.	გველის სურო		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Araliaceae	<i>Hedera colchica</i> (K. Koch) K. Koch	სურო		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Asparagaceae	<i>Asparagus officinalis</i> L.	სატაცური		საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ- ბოსტ.
Asparagaceae	<i>Yucca filamentosa</i> L.	იუკა		ნაკეთობები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Asphodelaceae	<i>Aloe barbadensis</i> Mill.	ალოე		სამკურნალო	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Achillea millefolium</i> L.	ფარსმანდუკი	მელაგუნდა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Arctium lappa</i> L.	ოროვანდი	ძირხვენა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Artemisia dracunculus</i> L.	ტარხუნა		საკვები	ფოთოლი, ღერო, ფესვი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Bidens tripartida</i> L.	ორკბილა	ჩერედა	სამკურნალო	ფოთოლი, ღერო	ტყე
Asteraceae	<i>Calendula officinalis</i> L.	გულყვითელა	კალენდულა	სამკურნალო	ყვავილი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Cichorium intybus</i> L.	ვარდკაჭაჭა	ხათალდიდნე (ოსურად); ტიტა	საკვები, სამკურნალო	კვირტი, ყლორტი	ტყე
Asteraceae	<i>Cirsium incanum</i> (S.G. Gmel.) Fisch. ex M. Bieb.	თეთრი ნარი	ნარი	Medicinal (Liver)	ფესვი	ტყე
Asteraceae	<i>Erigeron canadensis</i> L.	ცხენისკუდა		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Helianthus tuberosus</i> L.	მინავაშლა	მიწის ვაშლი	საკვები, სამკურნალო	ფესვი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Matricaria chamomila</i> L.	გვირილა		სამკურნალო	ფოთოლი, ყვავილი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Pyrethrum</i> sp.	გვირილა	მინდვრის გვირილა	სამკურნალო	მთელი მცენარე	ტყე
Asteraceae	<i>Serratula quinquefolia</i> Bieb. ex Willd.	ირმისმხალა	საფურცქვენლა	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Asteraceae	<i>Silybum marianum</i> (L.) Gaertn.	ბაყაყურა		Medicinal (Liver)	თესლი	ტყე
Asteraceae	<i>Tagetes patula</i> L.	ხავერდა	ყვითელი ყვავილი; იმერული ზაფრანა; იაყააქუ	საკვები	ყვავილის ფურცლები	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Taraxacum officinale</i> Wigg.	ბურბუმელა	ბაბუნჯერა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო, ფესვი, ყვავილი	ბალ-ბოსტ., ტყე
Asteraceae	<i>Tragopogon</i> sp.	ფამფარა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Tussilago farfara</i> L.	ვირისტერფა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე

Asteraceae	<i>Xanthium strumarium</i> L.	ლორის ბირკა	ბირკა; ცეცხლეკალა; კუტეკალა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Berberidaceae	<i>Berberis vulgaris</i> L.	კონახური		საკვები	ნაყოფი	ტყე
Betulaceae	<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	რცხილა	ფოტყაად (ოსურად)	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Alnus barbata</i> C.A. Mey.	მურყანი	ნახო	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Betula litwinowii</i> Doluch.	არყი		ნაკეთობები	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Betula pendula</i> Roth	არყი		ნაკეთობები	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	შავი რცხილა		ნაკეთობები, შეშა	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Carpinus orientalis</i> Mill.	ჯაგრცხილა	თეთრი რცხილა	ნაკეთობები, შეშა	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Corylus avellana</i> L.	თხილი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Betulaceae	<i>Corylus pontica</i> K. Koch.	თხილი		საკვები	ნაყოფი	ტყე
Boletaceae	<i>Boletus edulis</i> Bull.	დათიკა სოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Boraginaceae	<i>Symphytum caucasicum</i> M. Bieb.	ლაშქარა	ნუნნელა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ფესვი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica oleracea</i> L.	კომბოსტო		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica oleracea</i> L. var. <i>italica</i>	ბროკოლი	კომბოსტო	საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Capsella bursa-pastoris</i> L.	წინმატურა	ხნ (ოსურად); რეკებოს; ხარიკბილა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Brassicaceae	<i>Lepidium sativum</i> L.	წინმატი		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Raphanistrum rugosum</i> (L.) All.	ბოლოკა	ბოლოკას კოტი	საკვები	ფესვი	ბალ-ბოსტ.
Campanulaceae	<i>Campanula latifolia</i> L.	ალოშა		საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Campanulaceae	<i>Campanula rapunculoides</i> L.	მაჩიტა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Cannabaceae	<i>Humulus lupulus</i> L.	სვია	სვე	საკვები, სამკურნალო	ყვავილი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Cannaceae	<i>Canna indica</i> L.	კანა		ორნამენტ.	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Caryophyllaceae	<i>Stellaria media</i> (L.) Vill.	ჟუნჟრუკი	ჟუნჟრუკა	ცხოველთა საკვები, საკვები	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Cornaceae	<i>Cornus mas</i> L.	შინდი	შულდი	საკვები, სამკურნალო, ნაკეთობები	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Cornaceae	<i>Swida australis</i> (C.A. Mey.) Pojark ex Grossh.	შინდანლა		ნაკეთობები, საკვები	ღერო, ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Corylaceae	<i>Corylus iberica</i> L.	თხილი	დათვითხილა	საკვები	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Crassulaceae	<i>Sempervivum caucasicum</i> Rupr. ex Boiss.	კლდისვაშლა	კლდის დუმა	სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Bryonia dioica</i> Jacq.	ლეშურა	ადამის ძირი	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Cucurbitaceae	<i>Citrullus lanatus</i> (Thunb.) Matsum. & Nakai	საზამთრო		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucurbita pepo</i> L.	გოგრა		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.

Cucurbitaceae	<i>Cucurbita</i> sp.	გოგრა	ყაბაყი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cupressaceae	<i>Juniperus depressa</i> Raf. ex M'Murtrie	ღვია		შეშა	ღერო	ტყე
Cupressaceae	<i>Juniperus sabina</i> L.		ჭყერო	Medicinal (Liver)	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Cupressaceae	<i>Thuja</i> sp.	ტუია (t'uia)		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Dryopteridaceae	<i>Dryopteris filix-mas</i> (L.) Schott.	ჩადუნა	ჩადი	საკვები, ნაკეთობები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Ebenaceae	<i>Diospyros lotus</i> L.	ხურმა	კარალიოკი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Elaeagnaceae	<i>Elaeagnus</i> sp.	ფშატი		საკვები	ნაყოფი	ტყე
Equisetaceae	<i>Equisetum hyemale</i> L.	შვითა	ცხენისკუდა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Ericaceae	<i>Vaccinium myrtillus</i> L.	მთის მოცვი	მოცვი, მალშავი	საკვები	ნაყოფი	ტყე
Fabaceae	<i>Gleditsia</i> sp.	გლედისია	მურმანის ეკალი	სამკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Fabaceae	<i>Lathyrus roseus</i> Steven	არჯაკელი		საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Fabaceae	<i>Phaseolus sativus</i> L.	ლობიო		საკვები	თესლი, ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Pisum sativum</i> L.	ბარდა		საკვები, ცხოველთა საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Robinia pseudoacacia</i> L.	აკაცია	ლობოს ხე	საკვები, ნაკეთობები	ყვავილი, ღერო	ტყე
Fabaceae	<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	ულუმბო	უცხო სუნელი	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Vicia faba</i> L.	ცერცვი		საკვები, ცხოველთა საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fagaceae	<i>Castanea sativa</i> Mill.	წაბლი	ჭიფერ	საკვები, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ტყე
Fagaceae	<i>Fagus orientalis</i> Lipsky	წიფელი	თარსი ბალოს (ოსურად); ფუ'ფ (უდინური)	საკვები, მშენებლ., ნაკეთობები, ცხოველთა საკვები	ნაყოფი, თესლი, ღერო	ტყე
Fagaceae	<i>Quercus iberica</i> M. Bieb	მუხა (ქართული მუხა)	კვრკო (ოსურად); მახ (უდინურად); ნალი მუხა, ნილე	ნაკეთობები, მშენებლ. საკვები, ცხოველთა საკვები, შეშა, სამკურნალო ნაკეთობები	ღერო, ნაყოფი, ფოთლები	ტყე
Fagaceae	<i>Quercus macranthera</i> Fisch. & C.A. Mey. ex Hohen.	მუხა, კავკასიური მუხა	ფატარი მუხა		ღერო	ტყე
Fungi		მილიგაუმჩი		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		წიანასოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Geraniaceae	<i>Pelargonium</i> sp.			სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Grossulariaceae	<i>Ribes</i> sp.	მოცხარი		საკვები	ნაყოფი	ტყე
Guttiferae	<i>Hypericum perforatum</i> L.	კრაზანა		სამკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ყვავილი, ღერო, ფესვი	ტყე
Juglandaceae	<i>Juglans regia</i> L.	კაკალი	პეძე; უყ (უდინური)	საკვები, ნაკეთობები	ღერო, ნაყოფი, ფესვი, თესლი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Juglandaceae	<i>Pterocarya pterocarpa</i> (Michx.) Kunth ex Iljinsk.	ლაფანი		ნაკეთობები	ღერო	ტყე

Lamiaceae	<i>Lamium album</i> L.	ჭინჭრის დედა	ფსრამოთ (ოსურად)	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Lamiaceae	<i>Lamium purpureum</i> L.	ბებრისკონკა	ბებრისკონკა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Lamiaceae	<i>Leonurus cardiaca</i> L.	შავბალახა		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Mentha pulegium</i> L.	პიტნა	ტყის პიტნა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Ocimum basilicum</i> L.	რეჰანი	საშკულავი	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Satureja hortensis</i> L.	ქონდარი		საკვები	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Satureja spicigera</i> (C. Koch) Boiss.	ტყის ქონდარი		საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Lamiaceae	<i>Thymus</i> sp.	ბეგქონდარა	ველური ქონდარი; მინდვრის ქონდარი	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Lamiaceae	<i>Ziziphora serpyllacea</i> M. Bieb.	ურცი		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Lauraceae	<i>Laurus nobilis</i> L.	დაფნა		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Liliaceae	<i>Polygonatum glaberrimum</i> C. Koch.	სვინტრი		საკვები	ფოთოლი	ტყე
Lythraceae	<i>Punica granatum</i> L.	ბროწეული		საკვები, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Malvaceae	<i>Althaea</i> spp.	ტუხტი		საკვები	ფოთოლი	ტყე
Malvaceae	<i>Malva neglecta</i> L.	ბალბა (balba)		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
Malvaceae	<i>Malva sylvestris</i> L.	ბალბა (balba)	ფუმფულ (უდინური)	საკვები	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
Malvaceae	<i>Tilia caucasica</i> Rupr.	ცაცხვი	ჰადას	სამკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ღერო	ტყე
Moraceae	<i>Ficus carica</i> L.	ლეღვი		საკვები, სამკურნალო	ნაყოფი	ტყე
Moraceae	<i>Morus alba</i> L.	თუთა		საკვები, სამკურნალო, ცხოველთა საკვები	ნაყოფი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Musaceae	<i>Musa x paradisiaca</i> L.	ბანანი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Nyctaginaceae	<i>Mirabilis jalapa</i> L.	გულისაბა		სამკურნალო, ორნამენტ.	ღერო, მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Oleaceae	<i>Fraxinus excelsior</i> L.	იფანი	ზიდ (უდინურად); იფან (ოსურად)	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Oleaceae	<i>Syringia vulgaris</i> L.	იასამანი		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Onocleaceae	<i>Mattheuccia struthiopteris</i> (L.) Todd.	ჩადუნა	ჩადი	საკვები	ფოთოლი	ტყე
Oxalidaceae	<i>Oxalis corniculata</i> L.			საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Papaveraceae	<i>Chelidonium majus</i> L.	ქრისტესისხლა		სამკურნალო, ნაკეთობები	ყვავილი, ფოთლები, ღერო	ტყე
Papaveraceae	<i>Papaver somniferum</i> L.	ყაყაჩო	სრხდიდინა	საკვები	თესლი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
Paulowniaceae	<i>Paulownia imperialis</i> Sieb.	პავლონია		ნაკეთობები	ღერო	ტყე

Physalacriaceae	<i>Armillariella mellea</i> (Vahl) P. Kumm	მანჭკვალა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Pinaceae	<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	ნაძვი		საკვები, ნაკეთობები	გირჩა, ღერო	ტყე
Pinaceae	<i>Pinus sosnowskyi</i> Nakai	ფიჭვი		საკვები, ნაკეთობები	გირჩა, ღერო	ტყე
Plantaginaceae	<i>Plantago major</i> L.	მრავალძარღვა		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Avena sativa</i> L.	შვრია		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Hordeum vulgare</i> L.	ქერი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Secale cereale</i> L.	ჭვავი		ცხოველთა საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Setaria italica</i> (L.) P. Beauv.	ფეტვი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Triticum dicoccum</i> Schrank	ასლი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Zea mays</i> L.	სიმინდი		საკვები, სამკურნალო	თესლი, სამტვრეები	ბალ-ბოსტ.
Polygonaceae	<i>Polygonum aviculare</i> L.	მატიტელა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Polygonaceae	<i>Rheum rhabarbarum</i> L.	რევანდი		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Polygonaceae	<i>Rumex acetosa</i> L.	მჟაუნა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Polygonaceae	<i>Rumex scutatus</i> L.	ლახტარა	ჟამღ (ლეკურად)	საკვები	ფოთოლი	ტყე
Polygonaceae	<i>Rumex</i> sp.	ლოლო (g'olo)	ლოლ (ოსურად)	საკვები, სანკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ყლორტი, ფესვი	ტყე
Polypodiaceae	<i>Polypodium vulgare</i> L.	კილამურა, ძირტკბილა		სამკურნალო, ნაკეთობები	ფესვი	ტყე
Portulacaceae	<i>Portulaca oleracea</i> L.	დანდური	კატკატო	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
Rhamnaceae	<i>Paliurus spina-christi</i> Mill.	ძეძვი	ჯაგი	ნაკეთობები, სამკურნალო	ღერო, ფოთლები	ტყე
Rhamnaceae	<i>Ziziphus jujuba</i> Mill.	უნაბი	ურნაბი	საკვები	ნაყოფი	ტყე
Rhododendraceae	<i>Rhododendron caucasicum</i> Pall.	დეკა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Rosaceae	<i>Crataegus curvisepala</i> Lindm.	თეთრი კუნელი	კვინელი	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ყვავილი, ფოთოლი	ტყე
Rosaceae	<i>Crataegus pentagyna</i> Waldst.	შავი კუნელი	კვინელი	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ყვავილი, ფოთოლი	ტყე
Rosaceae	<i>Crataegus</i> sp.	კუნელი (k'uneli);	ბია-ბია (უდინურად)	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ყვავილი, ფოთოლი	ტყე
Rosaceae	<i>Cydonia oblonga</i> L.	კომში	ფუშა (უდინურად)	საკვები, ნაკეთობები, სამკურნალო	ნაყოფი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Rosaceae	<i>Eriobotrya japonica</i> (Thunb.) Lindl.	მუშმულა	ბუშმალა	სამკურნალო	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.


Rosaceae	<i>Fragaria vesca</i> L.	მარწყვი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Rosaceae	<i>Fragaria x ananassana</i> Duchesne ex Rozier	ხენდრო	მარწყვი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Rosaceae	<i>Malus orientalis</i> Uglizk.	მაჟალო	მაჟალო ვაშლი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ., ტყე
Rosaceae	<i>Mespilus germanica</i> L.	ზღმარტლი	მონტლე (ოსურად) ყირიპ	საკვები	ნაყოფი	ტყე
Rosaceae	<i>Prunus amygdalus</i> Batsch	ვაშლატამა		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Rosaceae	<i>Prunus avium</i> (L.) L. var. <i>silvestris</i>	ბალამნარა		საკვები	ნაყოფი	ტყე
Rosaceae	<i>Prunus cerasus</i> L.	ალუბალი		საკვები	ნაყოფი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Rosaceae	<i>Prunus divaricata</i> Ledeb.	ტყემალი	ტიყი	საკვები	ნაყოფი	ტყე
